შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში

კვლევის ავტორი: ვახტანგ მენაბდე
პერიოდი: 15 თებერვალი –15 მარტი, 2012

1. მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვების და დამუშავებისას გამოყენებული იქნა როგორც სტატისტიკური, ისე დისკურსული ანალიზი.

1.1. შეფასება

შეფასება დაყოფილია ორ ძირითად კრიტერიუმად: სტანდარტების შესაბამისი გაშუქება და სტანდარტების დარღვევით გაშუქება.

სტანდარტების შესაბამისი გაშუქება გულისხმობს გაშუქებას, როდესაც ჟურნალისტი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრზე, ან ისაუბროს ჯგუფის სოციალური ინტეგრაციის პრობლემებზე და ეს გააკეთოს იმგვარად, რომ ხელი არ შეუწყოს სტიგმატიზაციას.

სტანდარტების დარღვევით გაშუქება გულისხმობს შემდეგს[1]:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათი პრობლემატიკის სამედიცინო პარადიგმიდან აღქმა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ანტისოციალურ მოვლენასთან კავშირში გაშუქება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქველმოქმედების ობიექტად განხილვა ან იმგვარად წარმოჩენა, თითქოს მათ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი არ გააჩნით;

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა არ შეიცავს შეფასებებს მედიის მიერ პირადი ცხვორების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საკითხებზე;

- ტერმინების არკორექტული გამოყენება; [2]

ასევე ხშიარია სტატიებიც, რომლებიც თემატურად არ ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მაგრამ ტექსტში გამოყენებულია ამ თემატიკასთან დაკავშირებული სიტყვები ნეგატიურ კონტექსტში (მაგალითად: გიჟი, შეშლილი, ხეიბარი და ა.შ). ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს ჯგუფის სტიგმატიზაციას და ნეგატიური სტერეოტიპების გაძლიერებას. თუმცა მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ უკავშირება საკითხის გაშუქებას, ანგარიში მსგავს შემთხვევებს არ მოიცავს.

1.2. საუბრის ობიექტი

- შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც სოციალური ფენომენი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

1.3. ადრესანტი (ვინ საუბრობს)

- ჟურნალისტი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი
- დარგის ექსპერტი
- ხელისუფლების წარმომადგენელი
- სხვა რესპოდენტი

1.4. მონიტორინგის მიზანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან/და მათი პრობლემატიკის რეპრეზენტირების მონიტორინგი ქართულენოვან მედიაში 15.02.12–15.03.12-ის ჩათვლით.

მონიტორინგისათვის შერჩეული იყო შემდეგი მედია საშუალებები:

ყოველკვირეული გაზეთები[3]

1. გაზეთი "ქრონიკა" (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);
2. გაზეთი "კვირის პალიტრა" (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);
3. გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'' (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი);

ტელეარხები:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი-მოამბე;

[2] აქ აღნიშნული გაშუქების პერსპექტივა არის მხოლოდ მონიტორინგის ფარგლებში დაფქისირებული შემთხვების განზოგადება და არ წარმოადგენს შეზღუდული შესაძებლობის მქონე პირების სტანდარტების დარღვევით გაშუქების მთელ სპექტრს.

[3] გაზეთები შეირჩა გამოყენებითი კვლევების კომპანია "ARC" სოციოლოგიური კვლევის შედეგების შედეგად. მედია კვლევა, სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით ჩატარდა და თბილისში 1340 ადამიანი გამოიკითხა. ყველაზე გავლენიანი გაზეთების რეიტინგი შემდეგნაირად გამოიუყურება: "პრაიმ თაიმი" - 26.0%, "კვირის პალიტრა" - 19.1%, "ასავალ-დასავალი" - 17.1%, "ქრონიკა" - 11.1%, "ალია" - 5.9%, "24 საათი" - 4.8%.

2. იმედი-ქრონიკა;
3. რუსთავი 2-კურიერი;
4. კავკასია-დღეს;
5. მაესტრო-ახალი ამბები

მთლიანობაში გაანალიზდა 6 სტატია და 4 საინფორმაციო სიუჟეტი;



აქვე აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღედ გამოაცხადა. სწორედ ამ ფაქტით იყო განპირობებული აღნიშნულ თემატიკაზე მიძღვნილი ჟურნალისტური პროდუქტის ნაწილი, კერძოდ 3 სტატია. ეს კი მნიშვნელოვანად გასათვალისწინებელი ფაქტორია კვლევის შედეგების აღქმისას.

2.მონიტორინგის შედეგები

1.5. მონიტორინგის ზოგადი სურათი

გაშუქების რაოდენობრივი მაჩვენებლები:

“ქრონიკა” - 1
“კვირის პალიტრა” - 2[4]
,,პრაიმ ტაიმი'' – 2

სტატიების მიერ დაკავებულმა სივრცემ შეადგინა 7 გვერდი და გვერდის 2/5’

ტელეარხები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი - 1
იმედი - 0
რუსთავი 2 - 3
კავკასია - 0
მაესტრო - 0

სიუჟეტების საერთო ქრონომეტრაჟმა 18.40 წუთი შეადგინა.

[4] ამათგან ერთი რეკლამა;



შეფასებათა საერთო სურათი ასე გამოიყურება:

სტანდარტების შესაბამისი გაშუქება - 1
სტანდარტების შეუსაბამო გაშუქება - 8



აქვე უნდა ითქვას რომ, სტანდარტების შეუსაბამო გაშუქება გამოწვეულია ამ სფეროში შესაბამისი ცოდნის არქონის, ან მოძველებული ცოდნით. მონიტორინგის პროცესში გამოკვლეული ჟურნალისტური პროდუქტის აბსოლუტური უმრავლესობა (გარდა იმისა, რომელიც ანტისოციალურ ქცევაზე მიუთითებდა) პოზიტიური კონტექსტით ხასიათდებოდა და ცდილობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ნეგატიური ასპექტით არ გაესვა ხაზი, მეტიც მათი პრობლემების მოგვარებაზე იყო ორიენტირებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გამოყვანილი იყვნენ, როგორც ქველმოქმედების სუბიექტები ან დანახულნი იყვნენ სამედიცინო პარადიგმიდან.

მონიტორინგის პროცესში საკვლევ თემასთან დაკავშირებული ჟურნალისტური პროდუქტის საერთო რაოდენობამ 9 შეადგინა. ჟურნალისტური პროდუქტში რაოდენობის მიხედვით შესაბამისი გაშუქების რიცხვი (1) მნიშვნელოვნად ჩამორჩება შეუსაბამო გაშუქების რიცხვს (8).

როდესაც მედიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გაშუქების მონიტორინგზეა საუბარი, ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს რესპოდენტებზე. არსებობს პრინციპი ,,არაფერი ჩვენზე ჩვენს გარეშე'', რაც ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემატიკა ყველაზე უკეთ

თავად ამ პირებს (და მათ მშობლებს) ესმით, ამიტომ როდესაც საუბარი აღნიშნულ საკითხებზეა, ბუნებრივია პირველ რიგში რესპოდენტები თავად უნდა იყვნენ ის პირები ვისაც პრობლემა უშულოდ ეხება.

რესპოდენტთა რაოდენობრივი გადანაწილება შემდეგია:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მისი მშობელი - 7
სფეროს ექსპერტი - 6
ხელისუფლების წარმომადგენელი - 2
მოქალაქე - 3



როგორც ზოგადი სურათიდან ჩანს მთავარი პრობლემაა გაშუქების ინტენსივობის ნაკლებობაა, 9 ჟურნალისტური პროდუქტიდან, 3 აუტიზმის სპექტრს ეძღვენება, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეციფიური გარემოებით არის გამოწვეული (ამ სამიდან 1 რეკლამაა). 2 კი თბილისის ერთ-ერთ უბანში მომხდარ ინციდენტს ეძღვება, სადაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია იდენტიფიცირებული. მედია საშუალებების უმრავლესობა არ ინტერესდება ამ თემით, ან მხოლოდ იმ შემთხვევაში ინტერესდება, როდესაც საკითხი სხვადასხვა მოვლენით აქტუალიზირდება. მედიის მცირე ნაწილია, რომელიც ამ საკითხს ასე თუ ისე აშუქებს.

მეორე პრობლემა გაშუქების რაკუსია, ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი, ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჟურნალისტების, ისევე როგორც მათი რესპოდენტების ხედვა სტიგმატიზირებულია და კიდევ უფრო ხელს უწყობს თემის არაადეკვატური აღქმის ტირაჟირებას საზოგადოებაში.

1.6. სტანდარტების შესაბამისი გაშუქება

სტანდარტების შესაბამისი გაშუქება გულისხმობს გაშუქებას, როდესაც ჟურნალისტი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრზე, ან ისაუბროს ჯგუფის სოციალური ინტეგრაციის პრობლემებზე და ეს გააკეთოს იმგვარად, რომ ხელი არ შეუწყოს სტიგმატიზაციას.

ერთადერთი ჟურნალისტური პროდუქტი, რომლის მიმართაც მონიტორინგისას შენიშვნები არ გამოკვეთილა, გაზეთ ,,პრაიმ ტაიმში'' დაიბეჭდა. მისი გამოქვეყნება აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს უკავშირდება და წარმოადგენს ჟურნალისტის ინტერვიუს დარგის ექსპერტთან.[5] დანარჩენ 8 ჟურნალისტურ პროდუქტთან მიმართებით არსებობს გარკვეული შენიშვნები, თუმცა ამაზე ქვემოთ.

ამ თავში ასევე ყურადღება გამახვილდება ამ მონიტორინგის ობიექტების იმ ასპექტებზე, რომლებიც თავისთავად პოზიტიურ შემთხვევებს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ისინი ზედმიწევნით აკმაყოფილებენ თუ არა შესაბამისი გაშუქების სტანდარტებს. თუმცა, ზოგადად უნდა ითქვას, რომ ამ თავში მოყვანილი ყველა ჟურნალისტური პროდუქტის ავტორის განწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოზიტიურია.

სამედიცინო პარადიგმის წინააღდეგ ბრძოლა

პირველ რიგში ,,პრაიმ ტაიმის'' ზემოაღნიშნულ სტატიაზე გამახვილდება ყურადღება. რესპოდენტი აცხადებს, რომ *,,აუტიზმი დაავადება არ არის, აუტიზმი არის ადამიანის ან ბავშვის მდგომარეობა. ისინი უბრალოდ სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან. აუტიზმის სპექტრში მყოფ ყველა ბავშვს აქვს ცოდნის მიღებისა და სასკოლო ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის პოტენციალი. აუტიზმის ძალიან დიდი სპექტრია - ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს აუტისტი.''*[6] დარგის ექსპერტების მხრიდან ამგვარი განმარტებები სასიცოცხლოა პრობლემის ადექვატური აღქმისათვის, აქ რესპოდენტი ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც სამედიცინო ჩვენების არასწორ აღქმას. ინტერვიუს დანარჩენ ნაწილში ფსიქოლოგი საუბრობს იმ მიღწევებზე, რაც მის კონკრეტულ აუტისტ მოსწავლეს აქვს სოციალურ ფუნქციონირებაში.[7] რაც ასევე დადებითი ფაქტორია.

ტოლერანტულობა

იგივე გამოცემის სხვა ნომერში კვლავ აუტიზმზე არის საუბარი, აქ მნიშვნელოვანია ჟურნალისტის შესავალი, სადაც იგი ხაზს უსვამს ტოლეტანტობის მნიშვნელობას. ,,დღეს ყველა ვცდილობთ ერთად ვიცხოვროთ ერთ ტოლერანტულ სივრცეში და ერთმანეთის ინტეგრაცია მოვახდინოთ.''[8]

სოციალურ გარემოში ინტეგრაციის თანაბარი შესაძლებლობა და მისი შეზღუდვა გარემოს მიერ

---

[5] მაკა კილაძე, ,,ვისაუბროთ ხმამაღლა'', რესპოდენტი: ეკა რამიშვილი (ფსიქოლოგი); გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'', 2012 წლის 19 მარტის ნომერი; გვ 48-49; http://primetimepress.ge/magazine.php?id=238;

[6] მაკა კილაძე, ,,ვისაუბროთ ხმამაღლა'', რესპოდენტი: ეკა რამიშვილი (ფსიქოლოგი); გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'', 2012 წლის 19 მარტის ნომერი; გვ 48; http://primetimepress.ge/magazine.php?id=238;

[7] ასევე იხ. მაკა კილაძე, ,,ხმამაღლა ვილაპარაკთ'', რესპოდენტი: ბაია დავითაია (მშობელი); გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'', 2012 წლის 12 მარტის ნომერი; გვ 26; http://primetimepress.ge/magazine.php?id=237;

[8] მაკა კილაძე, ,,ხმამაღლა ვილაპარაკთ'', რესპოდენტი: ბაია დავითაია (მშობელი); გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'', 2012 წლის 12 მარტის ნომერი; გვ 26; http://primetimepress.ge/magazine.php?id=237;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გაშუქებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყურადღების გამახვილებას არა უნარების არქონაზე, (ვინაიდან იგი არა ავთენტური, არამედ შესაძებლობის შეზღუდვის შედეგია) არამედ პირიქით - იმ უნარებზე, რაც კონკრეტულ პირს გააჩნია. დაბრკოლებების ხაზგასმა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ამით არასათანადო გარემოს ხაზგასმა ხდება. ამ მიმართებით კარგი მაგალითია ,,რუსთავი 2''-ის ეთერში გასული სიუჟეტის მონაკვეთი, სადაც ჩანს, თუ როგორ დამოუკიდებლად გადაადგილდებიან ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და როგორ ორიგინალურად უყურებენ საკუთარ ადგილს სოციალურ გარემოში.[9] ანალოგიური შეიძლება ითქვას ,,რუსთავი 2''-ის სხვა სიუჟეტზე, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე საუბრობს დაბრკოლებების არარსებობაზე ხელმისაწვდომ სასკოლო გარემოში სწავლის დროს. კადრებში ასევე ჩანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები დამოუკიდებლად როგორ არიან ჩართული სასწავლო პროცესში.[10]

კიდევ ერთი ასეთი მაგალითია გაზეთ ,,კვირის პალიტრაში'', სადაც არასრულწლოვანზეა საუბარი, რომელსაც ორივე ფეხის ამპუტაციის შემდეგ პროთეზი ესაჭიროებოდა, მისი არქონის გამო კი ადეკვატურ სოციალურ ფუნქციონირებას ვერ ახერხებდა. თუმცა მას შემდეგ რაც ეს დამხმარე საშუალება მოირგო, შეუძლია მეტ-ნაკლებად სრულყოფილი რეალიზაცია. *,,რადგან ნიკას პროთეზი არ ჰქონდა, ვერ შეუსრულა პატრიარქს სურვილი, ახლა კი დადის ხატწერაზე.''*[11]

უფლებრივი მდგომარეობის გაშუქება

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიის მიერ სახელმწიფო ვალდებულებების ხაზგასმას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების უზრუნველყოფაში. ეს მუდმივად შეახსენებს ამ უკანასკნელს და საზოგადოებას იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ქვეყანას ეკისრება თითოეული ადამიანის და მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ,,კვირის პალიტრაში'' გამოქვეყნებული სარეკლამო სტატია, რომელშიც წერია *,,სამწუხაროდ დღეისთვის საქართველოში დარღვეულია ასა-ს*[12] *მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებები. კერძოდ, ადექვატური და ხელმისაწვდომი სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისებით, ასევე სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის უფლება. ,,ასა''-ს მქონე პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა, უმრავლეს შემთხვევაში, არ იციან საკუთარი უფლებები, შესაბამისად არ არიან მოწოდებული იბრძოლონ მათი დაცვისთვის.*

---

[9] გიორგი გვიშიანი, ლევან თეთვაძე, იაგო გოგილაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა: ,,P.S.'', 2012 წლის 18 მარტი;

[10] გიგლა თუმანიშვილი, რამაზ უთრუგაშვილი, ედიშერ თათელაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა ,,კურიერი'', 2012 წლის 5 აპრილი;

[11] ,,ახალი ,,ფეხებით'' ნათელი მომავლისკენ'', გაზეთი ,,კვირის პალიტრა'', 2012 წლის 9-15 აპრილის ნომერი, გვ. 20;

[12] აუტისტური სპექტრის აშლილობა;

წელს, 2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს საქართველო მეორედ აღნიშნავს. მისი მიზანია, ერთი მხრივ - საზოგადოების ინფორმირება, მეორე მხრივ კი ხელისუფლების დახმარება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში - კერძოდ, აუტიზმით დაავადებულთა დროული გამოვლენისა და ადრეული მკურნალობის ეფექტური სისტემის შექმნაში."[13]

საზოგადოების პასუხისმგებლობაზეა საუბარი კურიერის რეპორტაჟში, სადაც ასოციაცია ,,დეას'' ხელმძღვანელი აღნიშნულ საკითხს მკვეთრად წარმოაჩენს.[14]

უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრობს გაზეთ ,,კვირის ქრონიკის'' რესპოდენტები (სტატია შეეხებოდა ფსიქიატრიული სფეროს რეფორმას). რომლებიც სათვალთვალო კამერების დაყენებასა[15] და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფი პირების დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაყვანის ფორმას[16] აპროტესტებენ, და ამას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დარღვევად მიიჩნევენ.

შეჯამება

სტანდარტების შესაბამისი გაშუქების შესახებ თქმული შეჯამების შემდეგ შეიძლება ითქვას შემდეგი:

- ჟურნალისტთა მხრიდან არსებობს მზაობა საკითხის ადეკვატურად გაშუქების, პრობლემა შესაბამისი ცოდნის არარსებობაა;
- შესაბამისი გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტი საუბრობს ტოლერანტობაზე, ეს ემპათიისკენ მიმავალ გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია;
- შესაბამისი გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტი მკაფიოდ წარმოაჩენს შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც სამედიცინო ჩვენების არასწორ აღქმას.
- შესაბამისი გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტი საუბრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიღწევებზე და ხაზს უსვამს მის უნარებს;
- შესაბამისი გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტი ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრების გაშუქებას;
- შესაბამისი გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტი საუბრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და აქედან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებზე, ისევე, როგორც უფლების დარღვევის ფაქტებზე და საზოგადოების პასუხისმგებლობაზე;

---

[13] კოალიცია აუტიზმისთვის (რეკლამა), გაზეთი ,,კვირის პალიტრა'', 2012 წლის 9-15 აპრილის ნომერი, გვ: 20;

[14] გიგლა თუმანიშვილი, რამაზ უთრუგაშვილი, ედიშერ თათელაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა ,,კურიერი'', 2012 წლის 5 აპრილი;

[15] თამარ როსტიაშვილი, ,,ქართულ ფსიქიატრიაში ახალი სკანდალი გორდება'', რესპოდენტი: მადონა ცირეკიძე, ბავშვთა ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; გაზეთი ,,კვირის ქრონიკა'', 2012 წლის 9-11 აპრილის ნომერი, გვ: 34;

[16] თამარ როსტიაშვილი, ,,ქართულ ფსიქიატრიაში ახალი სკანდალი გორდება'', რესპოდენტი: ლელა გამცემლიძე, ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; გაზეთი ,,კვირის ქრონიკა'', 2012 წლის 9-11 აპრილის ნომერი, გვ: 34;

1.7. სტანდარტების შეუსაბამო გაშუქება

სტანდარტების დარღვევით გაშუქება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული საკითხების გაშუქებას იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი ღირსება, ხდება სტიგმის ტირაჟირება და წახალისება.

ტერმინოლოგიის გამოყენება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პირველი მუხლი გვთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დეფინიციას, რომელიც სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს ამ სოციალურ ფენომენს.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობა განვითარებადი კონცეფციაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გაგება მუდმივ დამუშავებასა და ცვლილებას განიცდის, რის შედეგადაც იგი სულ უფრო და უფრო იხვეწება.

კონვენციის მიხედვით, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოადგენენ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ ხანგრძლივი ეფექტის მქონე ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რომლებმაც სხვადასხვა ბარიერთან ურთიერთქმედებისას შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ, სხვებთან თანასწორ პირობებში მიიღონ სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში.*[17]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - ეს ერთადერთი კორექტული ტერმინია, რომლის გამოყენებაც, ზოგადად სოციალური ჯგუფის აღსაწერად, არ წარმოადგენს ჟურნალისტის მიერ სტანდარტის დარღვევას. ნებისმიერი სხვა ტერმინი: ინვალიდი, ინვალიდობის მქონე პირი, უნარშეზღუდული, შეზღუდილი უნარების მქონე, განსხვავებული უნარების მქონე პირი, ღირსებისშემლახველია, ან/და არასრუფასოვნად აღწერს ფენომენს და არ გამოიყენება.

მონიტორინგის ობიექტთაგან ყველზე მრავალფეროვნად ამ მიმართულებით გაზეთი ,,პრაიმ თაიმი'' სცოდავს. სტატიის ავტორი ჯერ ტერმინს ,,განსხვავებული უნარების მქონე'', შემდეგ კი ,,უნარშეზღუდულს'' იყენებს. მისი კორესპოდენტი კი ხმარობს ტერმინს ,,შეზღუდული უნარების მქონე'' და ,,ჩვეულებრივი ბავშვები''.[18]

ტერმინის გამოყენების პრობლემა არის ,,რუსთავი 2''-ს ორივე სიუჟეტში[19]. მართალია ამ მედია საშუალებაში ნელ-ნელა ამოიღეს ხმარებიდან ტერმინები ,,ინვალიდი'' და ,,უნარშეზღუდული'', თუმცა ბოლომდე ვერც ტერმინი ,,შეზღუდული

---

[17] CRPD, მუხლი პირველი, აგრეთვე პრეამბულა, პუნქტი ე;

[18] ასევე იხ. მაკა კილაძე, ,,ღმამაღლა ვილაპარაკთ'', რესპოდენტი: ბაია დავითაია (მშობელი); გაზეთი ,,პრაიმ ტაიმი'', 2012 წლის 12 მარტის ნომერი; გვ 26; http://primetimepress.ge/magazine.php?id=237;

[19] გიგლა თუმანიშვილი, რამაზ უთრუგაშვილი, ედიშერ თათელაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა ,,კურიერი'', 2012 წლის 5 აპრილი; აგრეთვე. იხ. გიორგი გვიშიანი, ლევან თეთვაძე, იაგო გოგილაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა: ,,P.S.'', 2012 წლის 18 მარტი;

შესაძლებლობის მქონე პირი'' დანერგეს და ხშირად იყენებენ სიტყვათა შეთანხმებას ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი'' სადაც სიტყვა ,,შესაძლებლობა'' მრავლობითში არის გამოყენებული. რაც არასწორია, ვინაიდან პირს იმის გამო კი არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა, მრავლობითი უნარები აქვთ შეზღუდული, ხედვის, სმენის და ა.შ., არამედ ერთი - სოციალურ გარემოში თანაწორი ინტერგირების შესაძლებლობა.

სამედიცინო პარადიგმის ტირაჟირება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებობს ორი - სამედიცინო და სოციალური მიდგომა.

სამედიცინო პარადიგმაში, შეზღუდული შესაძლებლობა მოიაზრება, როგორც ადამიანის დეფექტი, რაც მას არ აძლევს საშუალებას დაბრკოლებების გარეშე მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა სამედიცინო მოდელში უნივერსალური დიზაინის და ადაპტირების ნაცვლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პარალელურად იქმნება სპეციალური მომსახურება.

რაც შეეხება პრობლემას - აღნიშნული პარადიგმა შესაძლებლობის შეზღუდვას სამედიცინო ჭრილში ხედავს, იგი აღქმულია, როგორც ნორმიდან გადახვევა, საიდანაც გამოსავალს სამედიცინო მოდელი ნორმის ფარგლებში და ბუნებაში ხედავს.

სოციალური მიდგომა შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს, როგორც სოციალური გარემოდან გამოწვეულ პრობლემას. ამ ხედვის მიხედვით, პრობლემა არა ადამიანში, არამედ არაუნივერსალურ გარემოშია. სოციალური მიდგომის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს სოციალური ინსტიტუტების რეფორმა, რათა მიესადაგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნებს და არა პარალელური ინსტიტუტების უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, ქართული მედია დიდწილად გაჯერებულია აღნიშნული პრობლემატიკის სამედიცინო ჭრილში ხედვით. თვით ,,კოალიცია აუტიზმისთვის'' მიერ კვირის პალიტრაში გამოქვეყნებულ სარეკლამო სტატიაშიც კი წინა პლანზე წამოწეულია სამედიცინო ხედვა, სტატია ჯერ მიმოიხილავს აუტიზმის სამედიცინო ჩვენებებს და მხოლოდ ამის შემდეგ ამახვილებს ყურადღებას უფლებებზე.[20] მაშინ, როდესაც სამედიცინო პრობლემატიკაც საბოლოოდ უფლებრივ ხედვაზე გადის.

იგივე პრობლემას ვაწყდებით ,,კვირის ქრონიკის'' სტატიაში, სადაც რესპოდენტები უპირველესად ფსიქიკური პრობლემების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც პაციენტებს, მოიხსენიებენ და ამით ხაზს უსვამენ მათ სამედიცინო ჩვენებას. არადა, დასმული პრობლემა არსებითად უფლებრივია და არასათანადო მოპყრობას, ისევე, როგორც - ღირსების შელახვას ეხება. ,,პაციენტების გადაყვანა მოხდა ისე საცოდავად, მოაყენეს ავტობუსი, გადმოყარეს, ისე რომ მათთვის არაფერი უთქვამს. [...] ვისაც პატრონი ჰყავდა, ისინი წინასწარ გააფრთხილეს და იმათ წაიყვანეს

[20] კოალიცია აუტიზმისთვის (რეკლამა), გაზეთი ,,კვირის პალიტრა'', 2012 წლის 9-15 აპრილის ნომერი, გვ: 20;

თავიანთი ავადმყოფები. [...]''[21] ,,პაციენტების უმრავლესობა სტაციონარში თავსდება აზროვნების პათოლოგიით, სადაც უპირატესად წარმოდგენილია თვალთვალისა და დევნის ბოდვითი აზრები.[...]''[22] შესაძლოა ამგვარი აღწერა სამედიცინო თვალსაზრისით შესაბამისია, მაგრამ იგი გაუმართლებელია საზოგადოებაში ისედაც ღრმად ფესვგადგმული სტიგმის გათვალისწინებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, როგორც ქველმოქმედების სუბიექტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად აღიქმებიან არა როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, არამედ ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედების სუბიექტები არიან. აღნიშნული მიდგომა მიუღებელია და ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურ ინტეგრაციას. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ,,რუსთავი 2''-ის სიუჟეტის მონაკვეთი, სადაც ერთ-ერთი რესპოდენტი შემდეგ სიტყვებს ამბობს: ,,ემოციურადაც ძალაინ სასიამოვნოა, როდესაც ასეთ ადამიანებს გაულამაზებ ცხოვრებას''.[23]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ქველმოქმედებასთან ასოცირების ხელშემწყობია ,,კვირის პალიტრის'' სტატია, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი მკითხველს მოუთხრობს იმ ქველმოქმედების შესახებ, რომლის წყალობითაც მის შვილს ქვედა კიდურების პროთეზი დაუმზადეს. რა თქმა უნდა, მედია სტანდარტების დარღვევას არ წარმოადგენს ქველმოქმდების გაშუქება, მაგრამ ეს მაქსიმალურად ფრთხილად უნდა გაკეთდეს. უმჯობესია აქცენტი გაკეთდეს წარმატებაზე, ვიდრე იმგვარ კონოტაციაზე, რომელიც კონკრეტული პირის მიმართ სიბრალურს აღძრავს.[24]

გაშუქების ასეთივე სპექტრიდანაა შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს კადრში იმ დროს აჩვენებენ, როდესაც ვინმე მას ეხმარება. ამის მაგალითია ,,რუსთავი 2''-ის სიუჟეტი, სადაც ვხედავთ სასკოლო სივრცეში ეტლით გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც სხვები ატარებენ. [25]

ასოციალური ქცევის შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირება

ზოგადი სტანდარტის მიხედვით, იქ სადაც ამის აუცილებელი საჭროება არ არის, მედიამ ყურადღება არ უნდა გაამახვილოს შესაძლებლობის შეზღუდვაზე. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც არა მარტო ამ წესს არღვევს ჟურნალისტი, არამედ უფრო შორსაც მიდის და იმგვარ კონტექსტს გვთავაზობს, როდესაც ასოციალური

---

[21] თამარ როსტიაშვილი, ,,ქართულ ფსიქიატრიაში ახალი სკანდალი გორდება'', რესპოდენტი: ლელა გამცემლიძე, ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; გაზეთი ,,კვირის ქრონიკა'', 2012 წლის 9-11 აპრილის ნომერი, გვ: 34;

[22] თამარ როსტიაშვილი, ,,ქართულ ფსიქიატრიაში ახალი სკანდალი გორდება'', რესპოდენტი: მადონა ცირეკიძე, ბავშვთა ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; გაზეთი ,,კვირის ქრონიკა'', 2012 წლის 9-11 აპრილის ნომერი, გვ: 34;

[23] აგრეთვე. იხ. გიორგი გვიშიანი, ლევან თეთვაძე, იაგო გოგილაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა: ,,P.S.'', 2012 წლის 18 მარტი;

[24] ,,ახალი ,,ფეხებით'' ნათელი მომავლისკენ'', გაზეთი ,,კვირის პალიტრა'', 2012 წლის 9-15 აპრილის ნომერი, გვ. 20;

[25] გიგლა თუმანიშვილი, რამაზ უთრუგაშვილი, ედიშერ თათელაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა ,,კურიერი'', 2012 წლის 5 აპრილი;

ქცევას უპირობოდ შეზღუდულ შესაძლებლობას აბამს. ამით ხელს უწყობს სტიგმის გამრავლებას და ჯგუფზე მითების ტირაჟირებას.

ამის მაგალითია ,,რუსთავი 2''-სა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გასული სიუჟეტები, სადაც საუბარი იყო დოღომში მომხდარ თავდასხმებზე, რომლის მსხვერპლი ერთი არასრულწლოვანი და ერთი ქალი გახდა. ორივე სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ თავდამსხმელი, სავარაუდოდ, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირია.[26]

შეჯამება

სტანდარტების შეუსაბამო გაშუქების შესახებ თქმულის შეჯამების შემდეგ შეიძლება ითქვას შემდეგი:

- შეუსაბამო გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტურ პროდუქტში გამოყენებულია სხვა ტერმინი გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა;
- შეუსაბამო გაშუქებაა, როდესაც ხდება ამ სოციალური ფენომენის სამედიცინო პარადიგმის ჭრილში განხილვა;
- შეუსაბამო გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტურ პროდუქტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იდნეტიფიცირებულია, ობიექტი რომელსაც სხვისი დახმარება სჭირდება;
- შეუსაბამო გაშუქებაა, როდესაც ჟურნალისტურ პროდუქტში ჩადენილი ასოციალური ქცევა დაკავშირებულია შეზღუდულ შესაძლებლობასთან;

[26] დავით ქაშაშვილი, გიორგი პერტია, გიორგი ბოჟაძე, გოგილაშვილი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', გადაცემა: ,,კურიერი 9 საათზე.'', 2012 წლის 20 მარტი; აგრეთვე: თამარ ურუშაძე, ,,მოამბე'', 8 საათიანი გამოშვება, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი; 2012 წლის 20 მარტი;